დანართი №1

# ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიში

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წლის 18 დეკემბერს №27 დადგენილებით 20133.2 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია 230.0 ლარით. რომელიც მთლიანად დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განსაზღვრულ მიზნობრივ ტრანსფერს შეადგენს.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 19870.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 12595.2 ათასი ლარი გადასახადების სახით, აქედან ქონების გადასახადი შეადგენს 2600.0 ათას ლარს, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 1275.0 ათას ლარს, ფიზიკურ პირთა ქონების გადსახადი 10.0 ათას ლარს, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 65.0 ათას ლარს, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 1250 ლარს. დამატებითი ღირებულების გადასახადი განისაზღვრა 9995.2 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები (არასაგადასახადო) 7275.0 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **33** ათასი ლარით.

შემოსავლები ხვედრითი წილის მიხედვით მთლიან ბიუჯეტში ასე გამოიყურება:




2021 წლის იანვარ - სექტემბერში ბიუჯეტის მიმართ ცვლილება განხორციელდა -ჯერ, რის შედეგად ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა **39753.4** ათასი ლარით. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები შედგენს 11309.3 ათას ლარს. აქედან

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 868.4 ათას ლარს. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები, 6163.3 ათას ლარს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 812.0 ათას ლარს, მაღალმთიანი განვითარების ფონდი 450.0 ათას ლარს, სახელმწიფო გრანტი 3015.6 ათას ლარს.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **28411.1** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **13913.3** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **14497.8** ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **33.0** ათასი ლარით.

2021 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **3404.4** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **2285.8** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **1118.6** ათას ლარს. მათ შორის:

| № | ფულადი სახსრების ნაშთი | თანხა (ლარებში) |
|---|---|---|
| | **2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სულ** | **3404374.86** |
| | **მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:** | |
| 1 | საქართველოს პრეზიდენტის №771 განკარგულება 26/12/2007-რეგრესის პენსია | 5591.17 |
| 2 | №972 განკარგულება 26/05/2012 - მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად | 15400 |
| 3 | საქართველოს მთავრობის №136 განკარგულება 18/01/2018-გზების რეაბილიტაცია | 30091.56 |
| 4 | მიზნობრივი ტრანსფერი | 36214 |
| 5 | სკოლების რებილიტაცია | 1006.86 |
| 6 | საქართველოს მთავრობის №2577 განკარგულება 31/12/2018-გზების რეაბილიტაცია | 9270.49 |
| 7 | საქართველოს მთავრობის №13 განკარგულება 18/01/2019 - სკოლების რეაბილიტაცია | 457.4 |
| 8 | საქართველოს მთავრობის №45 განკარგულება 22/01/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 4976.96 |
| 9 | საქართველოს მთავრობის №558 განკარგულება 15/03/2019 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად | 9559.7 |
| 10 | საქართველოს მთავრობის №554 განკარგულება 15/03/2019 - ამბულატორია | 329.83 |
| 11 | საქართველოს მთავრობის №815 განკარგულება 12/04/2019 - გზის რეაბილიტაცია | 0.97 |
| 12 | საქართველოს მთავრობის №1596 განკარგულება 10/07/2019-მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები | 114478 |

| | | |
|---|---|---|
| 13 | საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება | 164800.66 |
| 14 | საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019-გზების რეაბილიტაცია | 212255.15 |
| 15 | საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია | 14752.32 |
| 16 | საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019სატაციანიაღვრე არხების რეაბილიტაცია | 94.74 |
| 17 | საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 სტადიონის რეაბილიტაცია | 112099 |
| 18 | საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების რეაბილიტაცია | 17813 |
| 19 | საქართველოს მთავრობის №2752 განკარგულება 31/12/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 36580.95 |
| 20 | სპეციალური ტრანსფერი | 1500000 |
| 21 | **სულ ცენტრალური ბიუჯეტიდან** | **2285772.76** |
| 22 | **საკუთარი ნაშთი** | **1118602.1** |

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის III კვარტლის**

**საშემოსავლო ნაწილის ანალიზი**

| დასახელება | გეგმა (IIIკვ) | ფაქტი(IIIკვ საკასო) | პროცენტი |
|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **24643.1** | **20391.2** | **82.7** |
| გადასახადები | **10742.3** | 9972.4 | 92.8 |
| გრანტები | 5463.0 | 5462.2 | 100 |
| სხვა შემოსავლები | 8437.8 | 4956.6 | 58.7 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **27.6** | **84.8** | **307.2** |
| **სულ შემოსულობები** | **24670.7** | **20476.0** | **83.0** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება)** | **1920** | **2680.9** | |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება (ზრდა)** | **0** | **0** | |
| ***სულ შემოსულობები ფ/ა კლების ჩათვლით*** | ***26590.7*** | ***23156.9*** | ***87.1*** |

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის (იანვარ-

სექტემბრის) შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) გარეშე განისაზღვრა **24670.7** ათასი ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) ჩათვლით **26590.7** ათასი ლარით), საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა **20476** ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **24670.7** ათასი ლარის 83.0 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიუჯეტში შემოსულია **2507.0** ათასი ლარით მეტი შემოსულობები. (2020 წლის იანვარ-სექტემბრის ფაქტიური შემოსულობები შეადგენდა 17969.0 ათას ლარს).

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივის ცვლილება (კლება) გეგმით განისაზღვრა 1920.0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად ფინანსური აქტივის კლებამ შეადგინა 2680.9 ათასი ლარი.

**სახეობების მიხედვით 2021 წლის IIIკვარტლის ფაქტიური შემოსულობების ხვედრითი წილი მთლიან ბიუჯეტში**




<u>**შემოსავლები**</u>

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის იანვარ-სექტემბრის თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლებიდან (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები):

<u>**I. გადასახადების სახით**</u> ბიუჯეტში მობილიზებულია 9972.4 ათასი ლარი, მესამე კვარტლის გეგმის 10742.3 ათასი ლარის 92.8 %. მესამე კვარტალში ფაქტიური შემოსულობების ძირითადი ნაწილი 49% , გადასახადებზე მოდის. სახეობების მიხედვით:

<u>ქონების გადასახადიდან</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულია სულ 2506.3 ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა 1750.0 ათას ლარს, აქედან იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) შემოსულია 2484.1 ათასი ლარი სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწიდან ქონების გადასახადი 22.2 ათასი ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოსულია 7466.1 ათასი ლარი, მესამე კვარტლის გეგმის 8992.3 ათასი ლარის 83.0 %.

**II.გრანტები:** საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 5462.2 ათასი ლარი (გეგმა 5463.0 ათასი ლარი), მთლიან შემოსულობებში გრანტებმა შეადგინა 27% მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩაირიცხა 561.4 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 4026.9 ათასი ლარი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამიდან 560.0 ათასი ლარი, სახელმწიფო გრანტი 314.0 ათასი ლარი.

**III სხვა შემოსავლები:** 2021 წლის მესამე კვარტლის (იანვარ-სექტემბრის) გეგმით განსაზღვრული 8437.8 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შემოსავალმა 4956.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 58.7 %-ია. მთლიან შემოსულობებში სხვა შემოსავლების ხვედრითმა წილმა 2021 წლის ცხრა თვეში 24 % შეადგინა.

სხვა შემოსავლებიდან პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში შემოსულია 98.3 ათასი ლარი (გეგმის 75.0 ათასი ლარის 131.1%), ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 3118.9 ათასი ლარი გეგმის 7243.5 ათასი ლარის 43.3 %. მათ შორის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 3092.2 ათასი ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 6.8 ათასი ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 0.3 ათ. ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოღებიდან 2.6 ათასი ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 17.0 ათასი ლარი. შენობა–ნაგებობების იჯარა შემოსულია 13.2 ათასი ლარი, მიწის იჯარა 1.2 ათასი ლარი. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 5.0 ათასი ლარი (გეგმა 23.0 ათასი ლარი), სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0.8 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1512.0 ათასი ლარი, გეგმა 1000.0 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 9.7 ათასი ლარი, გეგმის 12.3 ათასი ლარის 78.6%; სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 177.9 ათასი ლარი, (გეგმა 84.0 ათასი ლარი) შესრულებულია 211.8 %-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 62.6 ათას ლარს, სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 115.3 ათას ლარს. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი შემოსულია 19.6 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ-სექტემბრის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 84.8 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრული იყო 27.6 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 307.2% -ით. შემოსავალი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 75.2 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 9.6 ათასი ლარი.

*ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის*

*III კვარტლის ასიგნებები*

მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა **42738.1** ათასი ლარით. აქედან მესამე კვარტლის ასიგნებებმა შეადგინა 26590.7 ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯვამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა **23156.9** ათასი ლარი, ათვისებულია გეგმიური მაჩვენებლის **87.1** %.

**ჭიათურიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის III კვარტლის გადასახდელების ხვედრითი წილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გამოსახული პროცენტულ მაჩვენებლებში მთლიან ბიუჯეტთან**

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს მთლიან ხარჯებში (23156.9 ათასი ლარი) ყველაზე მეტი ხვედრითი წილი, 41 %, მოდის არაფინანსური აქტივების შეძენაზე, შემდეგ სუბსიდიებზე 38%, შრომის ანაზღაურება შეადგენს მთლიანი ხარჯების 7%-ს, საქონელი და მომსახურება 5%-ს, სოციალური უზრუნველყოფა 6 %-ს, სხვა ხარჯები 3%-ს.




**ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის III კვარტლის საგასავლო ნაწილის შესრულების ანალიზი**

| ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შესრულება (ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების) ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (ათას ლარებში) | | | |
|---|---|---|---|
| დასახელება | გეგმა | შესრულება | შესრულების % |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2479.7 | 2340.8 | 94.4 |
| ეკონომიკური საქმიანობა | 12100.8 | 10046.5 | 83.0 |
| გარემოს დაცვა | 1452.3 | 1288.2 | 88.7 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1868.1 | 1724.6 | 92.3 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 138.8 | 129.8 | 93.5 |
| დასვენება , კულტურა,რელიგია,სპორტი, | 3433.1 | 3044.2 | 88.6 |
| განათლება | 3449.2 | 3084.1 | 89.4 |
| სოციალური დაცვა | 1668.7 | 1498.7 | 89.8 |
| სულ ხარჯები | 26590.7 | 23156.9 | 87.1 |

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან:**

**1.** მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებას **2021 წლის მესამე კვარტალში** მოხმარდა **2340.8** ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების **2479,7** ათასი ლარის **94.4** %; მათ შორის მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა **2205.1** ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა **97.3** ათასი ლარი. ვალდებულების კლებას 38.4 ათასი ლარი. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან მუნიციპალიტეტის **საკრებულოს** დასაფინანსებლად მიმართული იქნა **452.6** ათასი ლარი. დაფინანსდა 98.5 %-ით. (გეგმა 459.6 ათასი ლარი), **მერიის** დასაფინანსებლად **1734.4** ათასი ლარი, დაფინანსდა 98.1%-ით (გეგმა 1768.4 ათასი ლარი). **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობას** მოხმარდა **93.7** ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა 80.6%-ით (გეგმა 116.2 ათ. ლარი). **თანამშრომელთა გადამზადების პროგრამაზე** განსაზღვრული 2.5 ათასი ლარიდან, 2021 წლის ცხრა თვეში მთლიანად არის ათვისებული. ვალდებულების მომსახურების დაფარვაზე განსაზღვრული 127.7 ათასი ლარიდან ათვისებულია 57.6 ათასი ლარი

**2.** წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი იქნა ცხრა თვეში 107.7 ათ. ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 მარტის N51 521 ბრძანებით გამოყოფილი იქნა შპს „კლასიკ სტროისათვის" 90. 0 ათასი ლარი (სასამართლოს გააწყვეტილებით დაკისრებული).

ბ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 04 თებერვლის N51 109 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 1.4 ათ ლარი ტრანსპორტის დაქირავების, გადზიდვა გდაყვანის ხარჯის 2020 წლის დავალიანების დასაფარად.

გ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 იანვრის N51 58 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 5.4 ათასი ლარი, ადმინისტრაციული შენობის დაცვის დავალიანების დასაფარად.

დ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 იანვრის N 51 34 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 1.6 ათასი ლარი საქონელი და მომსახურების მუხლის სხვადასხვა სახის ხარჯების დავალიანების დასაფარად.

ე) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 12 აპრილის N51 923 ბრძანებით გამოყოფილი იქნა გზების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის ხარჯებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად 9.3 ათასი ლარი.

**3.** მერიის სარეზერვო ფონდიდან 2021 წლის ცხრა თვეში გამოყოფილი იქნა 166.3 ათ. ლარი , რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, მათ შორის:

ა)მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 იანვრის N51 48 ბრძანების შესაბამისად გამოყოფილი იქნა 500 ლარი სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ დაკისრებული ჯარიმის გადასახდელად.

ბ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 11 თებერვლის N 51 153 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 1400 ლარი წარჩინებული სტუდენტის ერთჯერადი ფულადი დახმარებისთვის.

გ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 17 თებერვლის N 51 299 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 1000 ლარი საცხოვრებელი კორპუსის ეზოს საყრდენი კედლის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტისშესადგენად.

დ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23 თებერვლის N 51 397 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 6200 ლარი სასამართლოს მიერ დაკისრებული „შპს ნუევას" სასარგებლოდ 2018 წლის დავალიანების დასაფარად.

ე) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 15 მარტის N51 552 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 13500 ლარი კულტურული ღონისძიებებისათვის ( ჭიათურის შესახებ ისტორიული წიგნი-ალბომის შექმნის და ბეჭდვის თანადაფინანსება საზოგადოებისათვის გაცნობისა და გადაცემის მიზნით )

**ვ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23 მარტის N 51 704 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 45000 ლარი სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „კლასიკ სტროის" სასარგებლოდ დაკისრებული თანხის გადასახდელად.

**ზ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23 მარტის N 701 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 29900 ლარი რუსთაველის ქუჩაზე დაზიანებული საყრდენი კედლის სარეაბილიტაციოდ.

**თ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31 მარტის N 51 845 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 700 ლარი ქორწინების სახლის დაზიანებული სახურავის აღდგენისათვის პროექტის შესადგენად.

**ი)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 14 აპრილის N51 966 ბრძანებით გამოყოფილი იქნა საყრდენი კედლებისა და სანიაღვრე არხების აღსადგენად შესაბამისად 1600და 1200 ლარი სულ 2800 ლარი.

**კ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 27 აპრილის N51 1179 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 500 ლარი მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებისთვისს.

**ლ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 მაისის N51 1238 და 22 ივნისის N ბ72.72211737 ბრძანებით გამოყოფილი იქნა შესაბამისად 300 - 300 ლარი შეჭირვებული მოქალაქის ფულადი

დახმარებისთვის.

**მ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 მაისის N51 1247 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 2000 ლარი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციოდ სახურავი მასალის შესაძენად.

**ნ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 ივნისის N ბ72.722117210 ბრძანებით გამოყოფილი იქნა საყრდენი კედლების რეაბილიტაციისათვის ინტერნაციონალის ქუჩაზე 17250 ლარი.

**ო)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 06.07 N3/8037883 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 700 ლარი ცხოვრებაძის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის ხარჯთაღრიცხვის მოსამზადებლად.

**პ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 15.07. Nბ72.72211964, 06.08Nბ72.72212186, 27.08.Nბ72. 72212392 ბრძანებებით გამოყოფილი იქნა სულ 900 ლარი მოქალაქე იოსებ ქვათაძის ფინანსური დახმარებისთვის.

**ჟ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 28.07 Nბ72.72212091 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 2000 ლარი სტიქიის შედეგად დაზარალებულის დასახმარებლად.

**რ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 03.08. N ბ72.72212151 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 19161 ლარი ცხოვრებაძის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის გადახურვის სამუშაოებისთვის.

**ს)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 27.07 Nბ 72.722120810 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 3736 ლარი ინტერნაციონალის ქუჩის მიმდებარედ საყრდენი კედლის რეაბილიტაციისთვის.

**ტ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23.08.Nბ72.72212359 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 1000 ლარიახალგაზრდა ევროპელი ელჩის მარიამ ჯაფარიძის ესტონეთში გამგზავრებისთვის.

**უ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23.08.Nბ72.722123510 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 3000 ლარი ბარსელონაში პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულის სანდრო გეგეჭკორის დასაჯილდოებლად.

**ფ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31.08.Nბ72.722124359 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 5000 ლარი ზოგადი განათლების სუბსიდირებისთვის.

**ქ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 03.09.Nბ72.72212463 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 500 ლარი სამხატვრო აკადემიის სტუდენტის გოგი შეყილაძის დახმარებთვის.

**ღ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 03.09.Nბ72.72212462 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 500 ლარი სამხატვრო აკადემიის სტუდენტის თამარ ბიბიაშვილის დახმარებთვის.

**ყ)** მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 30.08.N ბ72.722124214 ბრძანებით გამოყოფილი იქნა კოვიდ 19-ის აცრის სივრცის მოწყობისათვის 8170 ლარი.

**4.** მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე განსაზღვრული ასიგნებების საკასო შესრულება 2021 წლის იანვარ - სექტემბრის თვეში შეადგენს **11771.1** ათას ლარს, დაფინანსდა 84.3%-ით (გეგმა **13968.9** ათასი ლარი) მათ შორის:

**ა)** საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **8338.0** ათასი ლარი (გეგმა 10300.8 ათასი ლარი), საიდანაც გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 8085.1 ათასი ლარი (გეგმა 9963.8 ათასი ლარი), ხიდებისა და მოაჯირების აღდგენა-მშენებლობაზე გეგმიური 5.0 ათასი ლარი არ გახარჯულა,

საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობაზე გაიხარჯა 111.3 ათასი ლარი (გეგმა 117.1 ათასი ლარი).

ფეხით მოსიარულეთა გადასაავლელებზე გამოყოფილი 215.0 ათასი ლარიდან საანგარიშო პერიოდში გაიხარჯა 141.6 ათასი ლარი

**ბ)** წყლის სისტემის განვითარებას მოხმარდა 547.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 96.6 %-ით (გეგმა 566.8 ათასი ლარი), მათ შორის წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაციაზე გაიხარჯა 511.0 ათასი ლარი მშენებლობა რეაბილიტაციაზე 36.3 ათასი ლარი .

**გ)** გარე განათებაზე დაიხარჯა 280.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 91.8 %-ით (გეგმა 305.0 ათასი ლარი), რაც მთლიანად გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას მოხმარდა.

**დ)** მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირებაზე გაიხარჯა 1708.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 94.9 %-ით (გეგმა 1800.0 ათასი ლარი).

ე) მუნიციპალიტეტის ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციაზე გაიხარჯა გეგმიური 100.5 ათ. ლარი.

**3)** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარებაზე ათვისებული იქნა 192.5 ათასი ლარი, დაფინაბსდა 81.5%-ით, გეგმა შეადგენდა 235.8 ათას ლარს. აქედან საცხოვრებელი შენობების ლიფტების აღდგენაზე გაიხარჯა 23.6 ათასი ლარი, სახურავების მასალების შეძენაზე 21.1 ათასი ლარი, საცხოვრებელი შენობების ფასადების აღდგენაზე 147.8 ათასი ლარი.

**ზ)** მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებს მოხმარდა 603.1 ათ. ლარი, გეგმა შეადგენდა 650.0 ათას ლარს,დაფინასდა 92.8 %-ით. აქედან მწვანე ნარგავების განაშენიანება სკვერების მოვლა პატრონობაზე გაიხარჯა 128.3 ათასი ლარი (გეგმა 150.0 ათასი ლარი), სოფლის მხარდაჭერის პროგრამზე 474.7 ათასი ლარი (გეგმა 500.0 ათასი ლარი).

**თ)** სასაფლაოების მოვლა შემოღობვაზე განსაზღრული 10.0 ათ ლარიდან, ცხრა თვეში ათვისებელი იქნა 1.2 ათასი ლარი.

**5.** დასუფთავებასა და გარემოს დაცვაზე გაიხარჯა 1288.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 88.7 %-ით (გეგმა 1452.3 ათასი ლარი), ათვისებული თანხიდან დასუფთავებასა და ნარჩენების გატანას მოხმარდა 1171.9 ათასი ლარი, რაზეც ცხრა თვეში განსაზღვრული იყო 1265,6 ათასი ლარი. დასუფთავების სფეროს კაპიტალდაბანდებებზე მიმართული იქნა ცხრა თვეში გეგმიური 102.8 ათასი ლარი, სანიაღვრე არხების აღდგენას მოხმარდა 13.5 ათასი ლარი, გეგმიური 83.9 ათასი ლარის ნაცვლად.

**6.** განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა **3084.1** ათასი ლარი, დაფინანსდა 89.4 %-ით (გეგმა 3449.2 ათასი ლარი), აქედან სკოლამდელი დაწესებულებების (გაერთიანებული საბავშვო ბაღი) სუბსიდირებაზე მიმართული იქნა 2502.3 ათასი ლარი. დაფინანსდა 87.9 %-ით (გეგმა 2845.3 ათასი ლარი), სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა რეაბილიტაციას მოხმარდა 3.1 ათასი ლარი (გეგმა 4.4 ათასი ლარი), ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამას მოხმარდა 578.7 ათასი ლარი( გეგმა 599.5 ათასი ლარი), რომელიც გაიხარჯა ბავშვების საცხოვრებელი ადგილებიდან სკოლამდე ტრანსპორტირებაზე.

**7.** კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 88.7 %-ით გეგმით

განსაზღვრული იყო **3433.1** ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა **3044.2** ათასი ლარი საიდანაც:

**ა)** სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე განსაზღვრული 1424.0 ათასი ლარიდან, ფაქტიურად გაიხარჯა **1346.3** ათასი ლარი, დაფინანსდა 94.5 %-ით, აქედან რაგბის სპორტული სკოლა დაფინანსდა 323.0 ათასი ლარით (გეგმა 323.9 ათასი ლარი), №27 სპორტული სკოლა 713.8 ათასი ლარით (გეგმა 715.7 ათასი ლარი), ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტსკოლა 214.4 ათასი ლარით (გეგმა 214.4 ათასი ლარი). სპორტული ობიექტების აღჭურვა რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 95.1 ათასი ლარი (გეგმა 170.0 ათასი ლარი).

**ბ)** კულტურისა და რელიგიის სფეროს განვითარებას მოხმარდა **1628.4** ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრული თანხის 1938.7 ათასი ლარის 84.0 %. აქედან №1 სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 198.4 ათასი ლარით (გეგმა 200.8 ათასი ლარი), №2 სამუსიკო სკოლა 129.4 ათასი ლარით (გეგმა 130.0 ათასი ლარი). სახვითი ხელოვნების სკოლა 46.6 ათასი ლარით (გეგმა 49.8 ათასი ლარი), ცენტრალური ბიბლიოთეკა 203.3 ათასი ლარით (გეგმა 205.0 ათასი ლარი), კულტურის შემოქმედებითი ცენტრი 769.7 ათასი ლარით (გეგმა 787.5 ათასი ლარი), სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე გაიხარჯა 13.3 ათასი ლარი (გეგმა 40.0 ათასი ლარი). კულტურის ობიექტების აღჭურვა რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 139.3 ათასი ლარი (გეგმა 397.1 ათასი ლარი). ჭიათურის თეატრისთტვის გამოყოფილი და გადარიცხული იქნა გრანტი 8.5 ათასი ლარი.

რელიგიის ღონისძიებებზე 2021 წლის ცხრა თვეში გაიხარჯა 120.0 ათასი ლარი. (გეგმა 120.0 ათასი ლარი)

**გ)** ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **69.5** ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით განსაზღვრული **70.4** ათასი ლარის, დაფინანსდა 98.7 %-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წარმატებული ახალგაზრდების ჯილდოების გაცემა, სხვადსხვა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება და ა.შ.

**8.** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გახარჯული იქნა 2021 წლის იანვარ სექტემბრის თვეში **1628.4** ათასი ლარი, დაფინანსდა 90.1 %-ით. (გეგმა **1807.5** ათასი ლარი), აქედან:

ა) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა **129.8** ათასი ლარი. დაფინანსდა 93.5% (გეგმა 138.8 ათასი ლარი). აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდირებას მოხმარდა 92.1 ათასი ლარი (გეგმა 100.8 ათასი ლარი), საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამები დაფინანსდა 37.7 ათასი ლარით (გეგმა 38.0 ათასი ლარი).

**ბ)** სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა **1498.7** ათასი ლარი, დაფინანსდა 89.8 %-ით (გეგმა **1668.7** ათ.ლარი). მათ შორის: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოც. დაცვაზე მიმართული იქნა **767.6** ათასი ლარი (გეგმა 787.3 ათასი ლარი), უმწეო და მიუსაფარი 170 ბენეფიციარის კვებაზე (უფასო სასადილო) გაიხარჯა **123.0** ათასი ლარი (გეგმა 160.0 ათასი ლარი), ომის ვეტერანთა დახმარებაზე **74.0** ათასი ლარი (გეგმა 77.5 ათასი ლარი), ომის ვეტერანთა დაკრძალვაზე **0.75** ათასი ლარი (გეგმა 4.2 ათასი ლარი), ოჯახებისა და ბავშვების დახმარებაზე **386.8** ათასი ლარი( გეგმა 477.7 ათასი ლარი).

სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად **100.1** ათასი ლარი (გეგმა 104.5 ათასი ლარი), სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოც.დაცვაზე გაიხარჯა **46.4** ათასი ლარი (გეგმა 57.5 ათასი ლარი), მათ შორის დევნილთა სოც.დაცვაზე გაიხარჯა 6.9 ათასი ლარი, ხანდაზმულებზე 22.0 ათასი ლარი, მარჩენალდაკარგულებზე 15.9 ათასი ლარი, ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებზე 1.6 ათასი ლარი.

2021 წლის პირველი ოქტომბრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **723.5** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის სახსრებზე **560.9** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **162.6** ათას ლარს. მათ შორის:

| № | ფულადი სახსრების ნაშთი | თანხა (ლარებში) |
|---|---|---|
| | **2021 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით სულ** | **723475** |
| | **მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:** | |
| 1 | საქართველოს პრეზიდენტის №771 განკარგულება 26/12/2007-რეგრესის პენსია | 5591.17 |
| 2 | №972 განკარგულება 26/05/2012 - მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად | 15400 |
| 3 | საქართველოს მთავრობის №136 განკარგულება 18/01/2018-გზების რეაბილიტაცია | 30091.56 |
| 4 | მიზნობრივი ტრანსფერი | 39587 |
| 5 | საქართველოს მთავრობის №2577 განკარგულება 31/12/2018-გზების რეაბილიტაცია | 9270.49 |
| 6 | საქართველოს მთავრობის №45 განკარგულება 22/01/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 4976.96 |
| 7 | საქართველოს მთავრობის №558 განკარგულება 15/03/2019 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად | 9559.7 |
| 8 | საქართველოს მთავრობის №554 განკარგულება 15/03/2019 - ამბულატორია | 329.83 |
| 9 | საქართველოს მთავრობის №815 განკარგულება 12/04/2019 - გზის რეაბილიტაცია | 0.97 |
| 10 | საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება | 0.66 |
| 11 | საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019-გზების რეაბილიტაცია | 79517.92 |
| 12 | საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია | 3414 |
| 13 | საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019სატაციანიაღვრე | 94.74 |

| | | |
|---|---|---|
| | არხების რეაბილიტაცია | |
| 14 | საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 სტადიონის რეაბილიტაცია | 112099 |
| 15 | საქართველოს მთავრობის №2752 განკარგულება 31/12/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 36580.95 |
| 16 | საქართველოს მთავრობის №2685 განკარგულება 31/12/2020წ-გზების რეაბილიტაცია | 64562 |
| 17 | საქართველოს მთავრობის №168 განკარგულება 05.02.2021წ.-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 149785 |
| 18 | **სულ ცენტრალური ბიუჯეტიდან** | **560861.95** |
| 19 | **საკუთარი ნაშთი** | **162613.05** |